



# გილოცავთ, კვირვასო მეგობრებო!



ოლიმპიურ დღესთან დაკავშირებით ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებები სრულიად საქართველოში გაიმართება

## ოლიმპიური დღე

რას ნიშნავს ოლიმპიური დღე, როდის დაწესდა და რა მიზანს ისახავს იგი? ოლიმპიური დღის დაწესებას დიდი ხნის და საქმოდ საინტერესო ისტორია აქვს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა, ეროვნებით ჩეხმა ი. გრუსმა გამოთქვა მოსაზრება ასეთი საპატიო დღის შემოღების შესახებ. იდეა განსახორციელებლად ადვილი და, ამავე დროს, მომხიბლავი გამოდგა და ამიტომაც იგი ყველამ ერთმანდად აიტაცა.

ავტორისეული ჩანაფიქრით ოლიმპიური დღე კომპლექსურ სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებს ითვალისწინებდა და მიზნად ისახავდა ოლიმპიური იდეალების პრაქტიკულ-არსებით მოსახლეობის ფართო ფენებში, საბავშვო სპორტის პროპაგანდას ამა თუ იმ ქვეყანაში. გრუსის წინადადებას ჯერ კიდევ მის უშუალო რეალიზაციამდე იმდენი მომხრე გამოუჩნდა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 41-ე სესიაზე იგი ერთმანდად გადაიდა. ეს მოხდა 1948 წელს ლონდონში.

ოლიმპიური დღე პირველად მისი დამტკიცებისთანავე (იმავ 1948 წელს) ფართოდ აღინიშნა ავსტრიაში, ბელგიაში, ბირმაში, დიდ ბრიტანეთში, ვენესუელაში, საბერძნეთში, კანადაში, პორტუგალიაში, ურუგვაიში და შვეიცარიაში. იდენი პრაქტიკული ხელი შეუწყო მისმა ნებაყოფლობითმა და უპირობოდ ხელმძღვანელმა ხასიათმა. სწორედ ამიტომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 79-ე სესიამ (პრაღა, 1977 წელი) სპეციალური დებულება მიიღო ოლიმპიური დღის ჩატარების თაობაზე (შემდგომში ეს დეკლარაცია ოფიციალურად იქნა შეტანილი ოლიმპიური ქარტიის 24-ე მუხლის დამატებაში). ამ დებულების თანახმად ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს ეძლეოდათ წინადადება შესაძლებლობის ფარგლებში, ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებითა და რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვით აღ-

ნიშნათ ეს დღე, როგორც ოლიმპიური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობის პირობათაგანია ოლიმპიური დღის ჩატარების შესახებ დეკლარაციის ინფორმაციის გაგზავნა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, რათა იგი გამოქვეყნდეს სოკის ოფიციალურ ორგანოში — „რევიუ ოლიმპიკი“).

ასე მოიპოვა არსებობის უფლება და შემდგომ საყოველთაო აღიარება ოლიმპიური დღე. რაც შეეხება თარიღის შერჩევას, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტმა ინიციატივა ამ საკითხში ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს გადასცა, თავად კი რეკომენდაციის უფლება დაიტოვა. ამ რეკომენდაციის თანახმად ოლიმპიური დღის მოწყობა შესაძლებელია 17-24 ივნისის პერიოდში, კვირა დღის გათვალისწინებით. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტმა თავის რეკომენდაციას გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვა მისცა, რაც გამოიხატა შემდგომში:

1894 წლის 23 ივნისს პარიზში, პირველი ოლიმპიური ინიციატივით გაიმართა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აქტიური საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი, რომელმაც გამოაცხადა თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოს — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შექმნა. დღევანდელი ოლიმპიური დღე ამ ორგანიზაციის მოვლენის თავისებურ გამოძახილს წარმოადგენს და ვადებთანავე ვითარდება მას.

ოლიმპიური დღის სისტემატურად აღინიშნავეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები. მისი აღნიშვნა გადაწყვიტა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტმაც ექსპერიმენტის საწყისზე. და ვინაიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ვადების დაცვას პირობითურად მნიშვნელობას არ ანიჭებს, ჩვენში ეს დღე მაისისთვის იქნა გადმოტანილი. სხვათა შორის, ბალტიისპირეთის რე-



საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საპროს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 მაისი, კვირა, 1990 წ.

№ 88 (10 257) • ზანი 8 კპა.

გამოცემის 1934 წლის 13 პერიდიდან

### ვერობის ჩვეურონატი ქილოზი

## ჯერ გვერე რამ არის გასაკვირვებელი

**მაინის ფანაჯურები.** აქ მიმდინარე ძიუდოსტ ვაჟთა და ქალთა ევროპის ჩემპიონატში 300-ზე მეტი ათლეტი ასპარეზობს. „ბალმორტალის“ დარბაზში მაყურებელი ინტერესით ადევნებს თვალს კონტინენტის უძლიერეს ძიუდოსტთა ასპარეზობას. სამწუხაროდ, მსაჯები არც თუ იშვიათად სცოდავენ, რაც უღვრად აფუჭებს საერთო შთაბეჭდილებას.

პირველი დღის შემდეგ 95 კგ. წონით კატეგორიაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს კობა კურტანიძეს სამი მოგება ჰქონდა. ასევე სამ-სამი გამარჯვებით აგრძელებენ ასპარეზობას ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სერგეი კოსოროტვი (მძიმე წონა) და ევროპის ორგზის ჩემპიონი ბაშირ ვარაევი (78 კგ). პირველსავე წერტილში მარცხი განიცადა მოსკოველმა ვეტალი ბუდილიანმა (86 კგ) ესპანელ ლეონ ვილართან.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ფანაჯურტში ხაბტოთა კავშირის ძიუდოსტთა დელეგაციის ხელმძღვანელს ნუგზარ ენდელაძეს, რომელმაც გვაცნობა:

მსოფლიოს ჩემპიონი ამირან ტოტიკაშვილი ნატკენი ფეხით ჩაივინა ფრანკურტში. ინგლისელ ძიუ-

დოსტთან შეხვედრის პირველსავე წუთზე ამირანმა ისევ იტყინა ფეხი და მისი შემდგომი გამოსვლა ჩემპიონატში სათუთ გახდა და თუკი მან მაინც შეძლო შეჯიბრების გაგრძელება, უკეთეს შემთხვევაში მესამე ადგილისთვის იბრძოლებს.

გიორგი თენაძემ და გურამ მოლდბაძემ მეორე წრეში დასაძანი მარცხი განიცადეს. დასაძანი იბრტომ, რომ ორივე შემთხვევაში მსაჯებმა აშკარა არაობიექტურობა გამოამჟღავნეს. ასე მაგალითად, მოდბაძეს მეტოქემ გაუკეთა იდე-თა, რომელიც არბიტრმა არ შეაფასა, მაგრამ გვერდითი მსაჯის დაყენებით მიითხოვნით მას წმინდა დამარცხება ჩაეთვალა. ასევე მსაჯის გადაწყვეტილებით მიესჯა დამარცხება თენაძეს თურქ ძიუდოსტთან.

დამარცხდა დავით ხახალიშვილიც, მაგრამ იგი, ისევე როგორც თენაძე, მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლებას ინარჩუნებს.

გუშინ დღისთი კურტიანძე ფინალში გასასვლელად იბრძოდა. სალამოთი გამოვლინდნენ ჩემპიონები ოთხ წონაში, დღეს კი სხვა ოთხი წონის ძიუდოსტები დამთავრებენ ასპარეზობას.

### გუზინ...

თბილისის ველოტრეკზე დაიწყო საქართველოს ტელევიზიის „დიდი პრიზის“ ტრადიციული გათამაშება ველოსპორტში. გუშინვე გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულები 200 მ. გიტში. ქალთა შორის გაიმარჯვა ლარისა ბურავცივაშვილი შედეგით — 11,89. ვაჟთა შორის გდრ-ის გუნდის წევრმა ენს ფიდლერმა — 10,54.

დღეს 13 საათზე გაიმართება ასპარეზობის მთავარი ჭილდოს, „დიდი პრიზის“ გათამაშება.

## გორში ასე აღინიშნავენ

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის „შიდა ქართლის“ რეგიონალურმა ჯგუფმა, ქალაქისა და რაიონის სპორტკომიტეტებმა, სახალხო განათლების განყოფილებებმა ერთობლივად მრავალი საინტერესო ღონისძიება გამართეს და კიდევაც გამართავენ საერთაშორისო ოლიმპიური დღის აღნიშვნად. მათ შორის ყველაზე მთავარი, ცხადია, 13 მაისისთვის „შემოინახეს“. ამ დღეს საკუდაოდ დარბაზში ჩატარდება დიდი პირველობა ქართულ კიდაობაში, რომელშიც შეჯიბრების ორგანიზატორები იყვენენ შიდა ქართლის რეგიონის ფაუნანებს, გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტები და თანამშრომლები მასობრივ ტურისტულ ლაშქრობის მოაწყობის თარიღების შედარებით შვედრალზე „დარბაზისზე“, მდინარე ტრანს ხეობის სათავეებს დალაშქრავენ სკოლების მოსწავლეთა ტურისტულ ჯგუფები.

13 მაისს 11 საათიდან ერთმანეთს შეჯიბრდებიან გასულ კვირას ხალხურ თამაშებში ჩატარებულ საქალაქო და რაიონულ პირველობებში გამარჯვებული მოზარდობა და მოსწავლეთა გუნდები. აღნიშნავთ იმასაც, რომ ეროვნული თამაშებისა და ვარჯიშების ჩატარების ორგანიზაციაში დიდი დამატებას გვიყვენენ ადგილობრივი ორგანიზაციები, განსაკუთრებით

## 150-ე წლის შეჭირვებანი და ივადაბი

„ნარინჯი“ და კოპერატივი „როინის“ სამ-სამი ცხენი.

ყუღარის ცხენსაშენის სამივე განყოფილებას ეხმარებოდა სპეციალისტები უდავან სათავეში — ოსტატ-მწვრთნელები რ. გრიგორიანი, მ. ასკერაძე და ოსტატ-ჟოკეი დ. თაბაგარი.

ახალთეჭური ცხენები ჩამოიყვანეს სავარაოლოს ცხენსაშენმა (ორი განყოფილება, 33 ცხენი), ყალბუხეთის ასსრ ჩაგორტის საბჭოთა მეურნეობამ (17 ცხენი), ამ უძველესი ქიშიში სამშობლოდან — თურქმენეთიდან ჩამოსულია 17 ცხენი. შუა აზიიდან ელოდებიან აგრეთვე ცხენები ცხენსაშენის — ლუგოვისის და „კომსომოლცის“ ბედაურებს (22 და 25 სულ).

აბორიონის დირექციის განზარბული აქვს წლებადედა ასპარეზობათა პროგრამა გამარჯვებულთა შორის სტიპენდიის შეჯიბრებით, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, რესპუბლიკის რაიონების, აგრეთვე სომხეთის საუკეთესო ცხენ-მხედრები. სახელოვან ოსტატთა გარდა მაყურებელი სხვადასხვა დოღებში, ალბათ, იხილავს ახალგაზრდა ყმაფეოლებსაც (დ. თაბაგარის განყოფილებიდან), ასაკოვან მოყვარულებსაც. ნავარაუდევია ცხენთა მოყვარულთა ჩართობა აბორიონული ჯიშის — თურქი ცხენები (ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეცხენეობის სახეზე ფერხიდან). კარგი საჩუქარი მოუზადეს ცხენის იმ მოყვარულს, რომელთა ურთიერთობა ამ ოთხფეხთან მარტო ტრინინიდან ცქრით არ ამოიწურება: შექენილია სამი არაბული ბედაური, რომლებიც სეზონის მანძილზე ლატარაში „გათამაშდებიან“ (ბედნიერი ბილეთის მფლობელს მოგებულ ცხენს იპოდრომი შეუნახავს 1 წლის მანძილზე).

...ეს მაყურებლის გამოცდაც: როგორც ვხედავთ, წლებადელ სეზონში დღისის ასპარეზის მთელ კოლექტივს, მწვრთნელებს, მხედრებს დიდი მონდობა მართებთ, რომ თბილისის იპოდრომა გაუძლოს, ვინმეღებებ, დროებით სი-

ძნელებს; სრულფასოვნად ჩატაროს დოღები, არ დაკარგოს მაყურებელი. ეს კი თვით მაყურებელსაც (ველოისნობა ძველ, გამთავრებულ გულშემატკივრებს) არის დამოკიდებული. მხედრების ოსტატობა, მონდობა და სეზონობივე სახეც, გარკვეულად ხომ მაყურებლის დონის შესატყვისია! იპოდრომის დირექციამ სულ ახლახან მოაწყო შეხვედრა გულშემატკივრებთან, ცხენსნობის, მეცხენეობის მოყვარულებთან. ეს შეხვედრა ხალხმრავალი არ ყოფილა, მაგრამ მთელი სიმწვავეთ დაისვა მრავალი პრობლემა, გაიმართა გულახდილი, საქმიანი მსჯელობა — როგორც თბილისის იპოდრომის მომავლის, სადღეს სეზონის კონკრეტული საკითხების შესახებ, ისე რესპუბლიკაში საერთოდ ამ დარგის მძიმე მდგომარეობის ირგვლივ; ვფიქრობთ, ასეთი საუკეთესო, კლავაცი გაგრძელდება და მისი გაცნობა უფრო ფართო აუდიტორიისთვისაც უინტერესო არ იქნება.







წახალაპურთელ ქალთა ჩემპიონატი


# ფინალურ ოთხეულში ნასპარეგებენ

**გოლსონი** ტურის შეხვედრა თბილისის „ივერიას“ მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან ჰქონდა. მოსკოველთა გუნდი ჩვენს წყალბურთელებთან ერთად ლიდერთა ჯგუფში იმყოფება და საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად იბრძვის. ორივე გუნდს კარგად ესმოდა, რომ მატჩი შესაძლოა „საბედისწერა“ ყოფილიყო და ამიტომ ბრძოლა მეტად დაძაბულად, უშუალოდ წარიმართა. პირველი პერიოდი სტუმრების სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და ტოლკუნოვასა და ვერხოვას მიერ გატანილი გოლების წყალობით მათ სასარგებლოდ დამთავრდა — 2:0.

მეორე პერიოდში ინციტივა თბილისელთა ხელში გადავიდა და ალიონა მარგიევამ — თბილისელთა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა — ორი ლამაზი გოლი გაიტანა. მალე ვერხოვი ისევ დააწინაურა თავისიანები, მხარეამ ჩერნიშოვამ შეძლო ანგარიშის გაქვითვა — 3:3.

შეხვედრის ბოლო ორ პერიოდში უპირატესობა გარდამავალი ხასიათისა იყო. თბილისელ წყალბურთელოთა გოლებს (ჩერნიშოვა, რ. გვანცელაძე) მოსკოველმა ტოლკუნოვამ და კოლენიკოვამ ასევე გოლებით უპასუხეს. მარგიევას ამ დროს მწვრთნელები ასვენებდნენ.

მატჩის მიწურულს რ. გვანცელაძეს მიეცა თანაგუნდელების დაწინაურების საშუალება, მაგრამ მცირე მანძილით ააცილა 4-მეტრიან საჯარიმოდან ნატყორცი ბურთი. ამან, ცოტა არ იყოს, დააბნია თბილისელები, შეცდომას შეცდომა მოაყოლეს და სილიგანოვამ, რომლის „დავერაც“ ჩვენმა მცველებმა ვერაფრით ვერ შეძლეს, მეექვსე გოლი გაიტანა. მასპინძლები მარცხის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ვის უნდა ეხსნა გუნდი, თუ არა მარგიევას? ცხადია, ამის ვარაუდობდნენ „ივერიის“ მწვრთნელები, როდესაც იგი დააბრუნეს შემადგენლობაში. ათიოდე წამი თუ იყო გასული მისი შემოსვლი-



„ივერიას“ და მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრის მომენტი.

დან, რომ ბომბარდირმა გაათანაბრა ანგარიში. სამწუხაროდ, ჩვენმა გოგონებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს და საყაიმო ანგარიშს დასჯერდნენ.

ბოლო ტურის წინ თბილისის „ივერიას“ 14 ქულა აქვს. ზოლტრუსის „ურალჩიკამ“ კარგა ხანია გაინაღდა ფინალურ ჯგუფში მონაწილეობა, ხოლო დანარჩენი 3 გუნდის ვინაობა, რომელთაც უნდა

გააგრძელონ ბრძოლა ჩემპიონობისათვის, დღეს გაირკვევა. თბილისელები კიევის „სლავუტჩის“ უმასპინძლებენ.

**ლევან ჯაპახიშვილი.**

**გუშინ** საღამოს „ივერიამ“ ანგარიშით 6:4 დაამარცხა კიევის „სლავუტჩი“ და ფინალურ ოთხეულში თამაშის უფლება მოიპოვა.

**ლიდერი**

**შეხველა**



**გაგრილი.** მშვიდობის ველორბოლის მესამე ეტაპის ტრასა ქალაქ გერას რკალად გრტყმოდა და 151 კილომეტრს შეადგენდა. ეს მანძილი ყველაზე სწრაფად გაიარა გდრის წარმომადგენელმა ბერტ დიტცმა — 3:37.59, მეორე შედეგი ჰქონდა პოლანდიელ რობერტ ვან დერ ვინს — 3:38.12, მესამე — პოლონელ იაცეკ მიცკევიჩს — 3:38.17.

საბჭოთა ველოსიპედისტთაგან საუკეთესო შედეგი (VII ადგილი) ოლეგ ჩუქუნი აჩვენა. იგი გამარჯვებულს 23 წამით ჩამორჩა. ათეულში მოხვდა, ასევე ვლადიმერ გოლუშკო, რომელმაც დიტცთან 53 წამი წააგო. ამ ჯგუფში ფინისის ხაზი გადაკვეთა კირილ ბელიაევი (29-ე ადგილი), პაველ ტრეპოვა (33-ე), სერგეი ზმიევი (39-ე) და ოლეგ პოლოვნიკოვა (50-ე).

სამი ეტაპის ჯამში ლიდერის ყვეოლი მაისური დიტცს გადაეცა 12:37.53. ჩეხოსლოვაკიელი იან სვოროდა მასთან მხოლოდ 5 წამს აგებ. ჩუქუნი ლიდერს 22 წამით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზე იმყოფება.

**ბოლოდ ტექნიკური შედეგები**

**პოლანდი.** აქ დამთავრდა ევროპის მორიგი ჩემპიონატი თავისუფალ კიდაობაში. ვთავაზობ ჩემპიონატის პრიზორთა ვინაობას:

- 48 კგ. 1. რ. რაშვიანი (რუმინეთი), 2. მ. ნედკოვი (ბულგარეთი), 3. რ. პიუგაბელი (გერმ.).

- 57 კგ. 1. რ. პავლოვი (ბულგარეთი), 2. ლ. მიკოლონი (გერმ.), 3. ა. ალისულთანიოვი (სსრკ).

- 62 კგ. 1. რ. ლუდვიგი (გერმ.), 2. კ. როლვი (გერმ.), 3. რ. ვასილიევი (ბულგარეთი).

- 68 კგ. 1. ფ. სეკერი (თურქეთი), 2. გ. შვებენლანი (გერმ.), 3. ა. მაგმედოვი (სსრკ).

- 74 კგ. 1. ნ. გაჯინაზი (სსრკ), 2. კ. ტამაღლიანი (რუმინეთი), 3. ვ. ველოვი (ბულგარეთი).

- 82 კგ. 1. ვ. გოტენერი (გერმ.), 2. ლ. ჟაბრაილოვი (სსრკ), 3. ს. ოხტირევი (თურქეთი).

- 90 კგ. 1. ვ. კაზიბეკოვი (სსრკ), 2. გ. ტოტი (უნგრეთი), 3. კ. სიუნსი (თურქეთი).

- 100 კგ. 1. ა. საბევი (სსრკ), 2. ა. რადოვსკი (პოლონეთი), 3. მ. დემირი (თურქეთი).

- 180 კგ. 1. ა. შრიოდერი (გერმ.), 2. კ. ბარბუტოვი (ბულგარეთი), 3. ა. შუმბლინი (სსრკ).

**„სპორტპროგრესი“ მე-20 ტირაჟის პროგრამა (19 მაისი)**

სსრკ პაპშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)

პროგრამა	19.V	80	10	10
1. „უუბანი“ (კრასნოდარი) — „ტირასი“ (ტირასპოლი)	19.V	20	70	10
2. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „სპარტაკი“ (ორჟონიცი)	19.V	80	60	10
3. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კოტაიკი“ (აბოვანი)	19.V	20	50	80
4. „ლოკომოტივი“ (გორკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)	19.V	40	50	10
5. „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი)	19.V	50	40	10
6. „დინამო“ (ბრესტი) — „ზარია“ (ბელცი)	19.V	10	70	20
7. „ნიმიკი“ (გროდნო) — ახკ (ოდესა)	19.V	80	10	10
8. „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ბალტიკა“ (კალინინგრადი)	19.V	10	70	20
9. „ტორპედო“ (ვლადიმირი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუბინეჟი)	19.V	20	80	20
10. „ტორპედო“ (რიჰანი) — „სოკოლი“ (ხარატოვი)	19.V	10	70	20
11. „გასტელი“ (უფა) — „ზევზა“ (პერმი)	19.V	80	50	20
12. „ზენიტი“ (იჟევსკი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	19.V	80	10	10
13. „ტერეკი“ (გროზნო) — „მაშუკი“ (პიატავოვსკი)	19.V	80	10	10

**შედეგები - მიმოხილვა**

**პაპშირის.** წარუმატებლად გამოდიან ამერიკელი ჩოგბურთელები აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. მესამე წრეში ანდრე აგასი დამარცხდა მაგნუს გუსტაფსონთან (შვეიცია) — 6:7, 6:7, აარონ კრიკტენი — ანრი ლუკონთან (საფრანგეთი) — 4:6, 4:6, ჯეი ბერგერი — ვი ფორტესთან (საფრანგეთი) — 3:6, 6:3, 4:6, ჯიმი არიასი — ბორის ბეკერთან (გერმ) — 3:6, 1:6. გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები: ბეკერი-ლუკონტი და ფორტე-ხუან აგილერი (ესპანეთი).

**ნიუ-იორკი.** მრავალდღიან ველორბოლას აშშ-ს გზებზე („ტურ დე ტრამპი“) ლიდერობს 19 წლის ლენინგრადელი ვლადიმერ ბობრიკი. 11 ეტაპის შემდეგ მისი შედეგია 36:01.37. უძლიერესთა ათეულშია კიდევ ორი საბჭოთა ველოსიპედისტი — დიმიტრი ქდანოვი (VI ადგილი) და ვიაჩესლავ ეკიმოვი (VII ადგილი).

**რუმინი.** ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში გავიდნენ: ამერიკელი მარტინა ნავრატოლოვა (მოუგო ესპანელ კონჩიტა მარტინესს 6:2, 6:0), გარბიელა საბატინი (ამერიკელ ჯენიფერ კაპრატისთან — 6:2,

7:5), იუგოსლავიელი მონიკა სელეში (ბულგარულ მანუელა მალეევასთან — 6:0, 6:2) და კანადელი ჰელენ კელსი (შვედ კატარინა ლინკვისტთან — 6:4 6:3).

**მაღრიდი.** ესპანეთის გზებზე მრავალდღიანი ველორბოლის („გუელტა“) მე-18 ეტაპი მოიგო კოლუმბიელმა მარტინ ფარფარამ (4:34.05). იგივე დრო ჰქონდა მეორე ადგილზე გასულ კოლუმბიელ ფაბიო პარასაც. ლიდერობას საერთო ჩათვლაში იტალიელი მარკო ჯოვანეტი ინარჩუნებს.

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აგუელანმა უტოპიური უწოდა თავის თანამემამულეთა იმედებს იმის თაობაზე, რომ მათ რაიმე შანსი აქვთ უმასპინძლონ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატს და აღნიშნა, რომ საამისოდ საუკეთესო შანსები აქვს საფრანგეთს, სადაც განზრახულია ახალი სტადიონების აგება. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ბრაზილიაში ერთადერთი ხეირიანი სტადიონი არსებობს ქალაქ გოიანიასში, ხოლო დანარჩენი სტადიონები დიდ ოფიციალურ შეჯიბრებებთან ჩასატარებლად სრულიად უვარგისია, იქ რაიანი ტუალეტებიც კი არ არის.

**რიმა.** აქ გაიმართა კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მიემდინა ევროპის პირველ ჩემპიონატში ლატვიის ნაკრების გამარჯვების 55 წლისთავს. პირველი ადგილი დაიკავა ბულგარეთის გუნდმა, რომელმაც დაამარცხა ლიტვის (92:83) და ლატვიის (83:81) კალათბურთელები.

**„სპორტპროგრესი“**

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგრესის“ 1990 წლის მე-18 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.971.303 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვია, 12 შედეგი გამოცნობისთვის (88) მოგება 672 მანეთია, 11 შედეგი გამოცნობისთვის (1.269) — 186 მანეთი. საქართველოში: დაშვებულია 91.524 ვარიანტი. 13—0, 12—5, 11—64.

მე-18 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 26 მაისიდან 26 ივნისის ჩათვლით.


**ფეხბურთი**

**საქართველოს თანის გათამაშება**

16 მაისი

**ასპ-ის სტადიონი**  
(ზოქორის ქ. №18)

„მრბეპი“ (თბილისი) — „ბანთიადი“ (დმანისი)  
დასაწყისი 17 საათზე.



თბილისის ცენტრალური სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი №2)

**15 მაისი — ფეხბურთი**

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი**

„სანაპარლო“ (სამტრედია) — „პურია“ (ლანჩხუთი)  
დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალონებში 14 და 15 მაისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე). ორგანიზაციებში — 15 მაისს.

**თბილისის „ფეხბურთის“ სტადიონი**

(ბ. ხმელნიცის ქუჩა №40)

**15 მაისი — ფეხბურთი**

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი**

„ფეხბურთი-1906“ (თბილისი) — „კოლხეთი-1918“ (ფოთი)  
დასაწყისი 18 სთ. 30 წთ.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალონებში 15 მაისს 10-საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).